14/04/2026

# საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ აღდგომის საზეიმო მსახურება სიონის საპატრიარქო ტაძარში აღავლინა (ფოტოქრონიკა)

წელს მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის საზეიმო მსახურება საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი), მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად, სიონის საპატრიარქო ტაძარში აღავლინა; იქ, სადაც დიდ პატრიარქებთან ერთად განისვენებს მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ლიტურგიას მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ ყაველაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი კობახიძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი შალვა პაპუაშვილი, ქალაქ თბილისის მერი, ბატონი კახა კალაძე და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

წირვის შემდეგ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ აღდგომის მნიშვნელობაზე იქადაგა.

ფოტო: ნინო სოზაშვილი

sazu.ge